KA030118351303818

№ 01-1156/ს **15 / აგვისტო / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელს ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

გაცნობებთ, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის სომხეთის წარმომადგენლობის ორგანიზებით, სომხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროსთან თანამშრომლობითა და ბულგარეთის რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე წლის 4-5 სექტემბერს ქ. ერევანში იმართება საერთაშორისო კონფერენცია „Keeping Families Together".

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობის, გაეროს ბავშვთა ფონდის ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ოფისების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები. კონფერენციის ფარგლებში განხილულ იქნება ბავშვზე ზრუნვის სფეროში ბულგარეთისა და სომხეთის გამოწვევები და მიღწევები, ბავშვზე ზრუნვის სფეროს რეფორმის პოლიტიკის, თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარების, ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭრისა და სხვა საკითხები.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული ვარ პირადად. მომწვევი მხარე ანაზღაურებს ვიზიტთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

გთხოვთ, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა და სამინისტროს სისტემის ზოგიერთი თანამდებობის პირთა მივლინების წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 7 აგვისტოს N01-176/ო ბრძანების შესაბამისად, 2018 წლის 3 სექტემბრიდან 7 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყოთ მივლინების ბრძანების მომზადება და ვიზიტთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

დანართის სახით წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნინო ოდიშარია